საია აცხადებს სტაჟირებას დემოკრატიული ინსტიტუტების მხარდაჭერის პროგრამაში

სტაჟიორები შეირჩევა მართლმსაჯულებისა და საჯარო პოლიტიკის მიმართულებით. სტაჟირება გრძელდება 6 თვის მანძილზე და დასრულების შემდგომ გაიცემა შესაბამისი სერტიფიკატი.

საჯარო პოლიტიკის მიმართულებით შეირჩევა ერთი სტაჟიორი:

ძირითადი ვალდებულებები:

- სახელმწიფო უწყებებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა საქმიანობის პროაქტიული მონიტორინგი

- საჯარო პოლიტიკის სფეროში ანალიტიკური დოკუმენტების შემუშავებაში მონაწილეობა;

- საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა და მიღებული ინფორმაციის დამუშავება;

- სხვადასხვა ხასიათის ღონისძიებების დაგეგმვაში მონაწილეობა.

კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

- უმაღლესი განათლება, ან დამამთავრებელი კურსის სტუდენტი, სამართლის ან პოლიტიკის მეცნიერებების მიმართულებით;

- სახელმწიფო უწყებების და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების საქმიანობის მიმართ მაღალი ინტერესი;

- ეფექტური კომუნიკაციის უნარი;

- ანალიტიკური აზროვნება, პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობა და გუნდური მუშაობის უნარი;

- ინგლისური ენის ცოდნა B2 დონეზე.

მართლმსაჯულების მიმართულებით მიმართულებით შეირჩევა ერთი სტაჟიორი:

ძირითადი ვალდებულებები:

- მართლმსაჯულების ინსტიტუტების მონიტორინგში მონაწილეობა;

- მართლმსაჯულების სფეროში ანალიტიკური დოკუმენტებისა და განცხადებების შემუშავებაში მონაწილეობა;

- ანალიტიკოსის მითითების შესაბამისად საერთაშორისო პრაქტიკის მოძიება და ანალიზი;

- საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა და მიღებული ინფორმაციის დამუშავება

- სხვადასხვა ტიპის ღონისძიების დაგეგმვაში მონაწილეობა.

კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

- იურიდიული განათლება (უმაღლესი განათლება/დამამთავრებელი კურსისი სტუდენტი)

- მართლმსაჯულების სისტემის მიმართ მაღალი ინტერესი;

- ეფექტური კომუნიკაციის უნარი;

- ანალიტიკური აზროვნება, პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობა და გუნდური მუშაობის უნარი;

- ინგლისური ენის ცოდნა B2 დონეზე.

წარმოსადგენი დოკუმენტები:

- სამოტივაციო წერილი;

- რეზიუმე (CV).

კონკურსის ეტაპები:

- პირველ ეტაპზე მოხდება წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით კანდიდატების შერჩევა;

- მეორე ეტაპზე გადასულ კანდიდატებთან გაიმართება გასაუბრება.

- საბუთების არასრულად მიღების შემთხვევაში კანდიდატის აპლიკაცია არ განიხილება.

- დავუკავშირდებით მხოლოდ გასაუბრებისთვის შერჩეულ კანდიდატებს.

დამატებითი ინფორმაცია:

- სტაჟირება არაანაზღაურებადია;

- სტაჟირება არ ითვალისწინებს მუდმივად ოფისში ყოფნას და სრული განაკვეთით მუშაობას;

დაინტერესებულმა პირმა ელექტრონულ მისამართზე info@gyla.ge, **2022 წლის 1 მაისის დღის ბოლომდე უნდა წარმოადგინოს CV და სამოტივაციო წერილი.**

დამატებითი კითხვების შემთხვევაში, შეგიძლიათ, მოგვწეროთ ელექტრონულ ფოსტაზე - lchkhetiani@gyla.ge.

გთხოვთ, განაცხადის გამოგზავნისას Subject-ში მიუთითოთ პოზიციის დასახელება.